„მარტოვლი საყვარელითა სახელია და ნამბობი (ამ განკუთვნილში) რა არის საყვარელითა, თითო-თითოდ, რომ გავ-ვეტრულ წყევს! რეგობი, რეგობი და თავიანდელ დამეჩნდილ... რეგობი, ზოგად ენო! — რეგობი, რეგობი! — საყვარელითა რეგობი, რეგობი! — საყვარელითა საჭიროების საჭიროება-ვის, მამინ მეც ვიკევი: ქართველი აფერ, აქ არის-მეთქი; ის საჭირო ნიშანი მივხედე, სა-იოქცესა! თიღედავას ჩვენების ქეჩა, გონე-ბა, ფეფი, გრძობა, სურფილი ვიოად, ხა-ლიანად და შეუიოზად მოივლდეს სა-ყვარელითა საჭიროების კეთილდღეობის-თვის, მამინ მეც ვიკევი: ქართველი აფერ, აქ არის-მეთქი... ის შემეჩნდებითი, დი-დებელი, ერთიანი პარიო, რომელსაც ვეფი ჩვენების ქართველობაში უნდა მკეფა-დეს, ის სახელი, რომელსაც ვეფის გვე-ქვა — დიდი ხანია დიღედა, ჩვენის გო-ნებინდელ ამბობა... ვიო მხარის, რომელ-საც საჭირო ძარღვი გავწედა, ვიო იმ ქე-ვარს, საყვარელითა ძარღვი სისხლი გაშ-რა, საყვარელითა თითო არ არის და თე-ფიოთი სეფილა, საყვარელითა ვეფისთვის ამ ძიჭებობის და ვეფის თიღედავასთვის, საყვარელითა და ვეფის თიღედავასთვის, საყვარელითა და ვეფის თიღედავასთვის...“

„საღ არის ქართველი და ქართველი-ბა? — ამტარებელი კაცი აფილად ვიოამ-სე-ხეს და გიგანების ბრძანი ყოფილბარო. ეს ჩვენი დიდება-ბა და შენი ზღვიდან კაცისა ზღვიდან გუნდ-გუნდით პარიო-ბული მისი შეფილა — სოფელს ქართვე-ლები არ არიან? ქალაქი უწედა დიდი, უ-წედა, სოფლები მისი შეფილა, მაგრამ სანე-მამია, რომ დღისი მუზე დიდი ხანია გა-მრა და დღისი მუზე შეფილა აღარა სწეფი...“

ნუთუ, ესენი ქართველები არიან, ერთის დღის, საქართველოს თეფის შეფილია?!



გან. ზ. დონიშვილი



და, რა დასწერა სასწიროდ წონა, უფალი პინეს ზურ კარასა ფეფსა.

საიღვამე მარ, რაჟ მოვალეობა, კიო, საკვირველო კაცი, მითხარე!

გალხი მიყვარება — და კაცობი არა გვევლინა!

თუ მაგირად, რისინს ჯიშს კვირვა ხალხი, თიღელსარ ფეფაბილად ჩაქოვანა და მარა მე ვიოამ...

„ყველა — ყველა...“

მინდა გიჩვენო

მეგობარი

— ყველა — ყველა და, ამაღამ ლამაზისე-
ულის ვახშაშზე რა ჩავიცვამ? — ერთ საღამოს
ლუარსაბმა თავის მეუღლესა ჰკითხა, როცა
სამარშრუტო ტაქსების შესვლის დრომ მო-
აღწია.

— გენაცვალოს დარე, „ბარიგების“ წყალობით
ბევრი გვაქვს. — ანუგეშა დარეჩანმა.

— მაინც? — ჩაეკითხა ლუარსაბი.

— იტალიიდან დათიკოს მიერ მორთმეული
კაი „სუბერი“, კარგი „ლევი შტრაუსი“, კარგი...

კიდეც უნდა რაღაც ეთქვა, მაგრამ „ლევი
შტრაუსის“ ხსენებაზე, ლუარსაბმა სიტყვა გა-
აწყვეტინა.

— უპ, უპ, უპ, ეგ ღორის სუკები... ბოდიში,
ეგ „ლევი შტრაუსი“! სახეაღლი ვიყო, რაღაც
უნდა, ღირს! სხვა? მე ამაღამ როგორღაც იშტა-
ზე ვარ.

— „ვრანგლერი“ გვაქვს, ჰაჰა რომ იყიდა,
იმის ფეშქაშია, ასეთია, რომ მაგარი გახეხი-
ლია.

— „ვრანგლერი“? ჰა, „ვრანგლერი“? არა,
ვეფო, „კენედი“ სჯობია. — მიუგო მცირე და-
ფიქრების შემდეგ ლუარსაბმა.

— ახლა მაგას დაიყინებ! რითა სჯობია?

— ვა... ტყავით და ფირმული ლილეებით გაწ-
ყობილი „კენედი“? — ისეთი ხმით წამოიძა-
ხა ლუარსაბმა, თითქოს უკვიროს: ეს ამისთანა
უბრალო ჭეშმარიტება როგორ არ ესმის ამის-
თანა ჭკვიან დედაკაცსო.

— შენც არ მომიკვდ, ლუარსაბ, კარგად გა-
ხეხილ „ვრანგლერს“ „კენედი“ არ სჯობდეს.

— ვა! — უფრო გაკვირვებით შეჰყურა ლუ-
არსაბმა, — ტყავით გაწყობილი „კენედი“ რო
ტანს აყენებს, „ვრანგლერი“ იმასთან როგორ
შეიკვეთა? მაშ სვეტი-ლარ ვყოფილვარ, ყოველ
ქუდი აღარ მხურებია თავზე!

— შენც იტყვი, სვეტი ვარო, რასაც წამო-
როშავ, კაცი ვეღარ გადაგათქმევინებს, —
წყენით უთხრა დარეჩანმა.

— ახლა უკვე ნაღდი კაცობის ვარიანტს
სტეხავ! — თქვა ლუარსაბმა, შემოიყარა ღო-
ნჩი და გამარჯვებულსავეთ ამაყი შეხედუ-
ლება მიიღო.

დარეჩანმა იგრძნო, რომ ლუარსაბმა საბუთი-
ანად დაიჭირა და შერცხვენილმა ბანზედ სიტყვა
აუტყლო:

— მაშ, შენ „კენედი“ ამჯობინებ?

— ეამჯობინებ.

— მაშ, შენ სვეტი გვირგვინი? — ისე გაბრა-
ზდა დარეჩანმა, რომ კინაღამ სახეზე წამსული
ტონი დაუკლდა.

— სვეტი ვარ, მაშ არა და, სვეტი-გოიმი ვარ?

— ლუარსაბი აიტყვია. — „კენედი“ ჰიბების
მეფეა ისე, როგორც „მეგელში“ — „ხანკა“!

— აბა, შენ, კაცმა როგორ უნდა დაგიჯე-
როს, „ლუდოვიკო“ თქმულა „მეგელის“ მე-
ფედ და არა „ხანკა“!

— ახლა ნუ გაუშვი ბაზარი! „ხანკა“-მეთქი!

— „ლუდოვიკო“!

— ეპ, „ხანკა“, შპიონი ვიყო, არც ახლა
დამიჯერებ?

— „ლუდოვიკო“, „ლუდოვიკო“! — ხმა
დაიკრინა დარეჩანმა.

— აბა, საიღამ იცი, რომ „ლუდოვიკო“?

— შენ საიღამლა იცი, რომ „ხანკა“?

ამ კითხვაზე ლუარსაბი მახეში გაება, უნ-
დალდა ეთქვა, რომ „ინსტრანკაში“ სწერიაო,
მაგრამ მოაგონდა, რომ დარეჩანმა უფრო ნაკი-
თნია და ვეღარ გაბედა.

— მითხარ, საიღამ იცი? რაც არ იცი, ნუ
იტყვი. აბა, ესლა სთქვი: „ვრანგლერი“ არა
სჯობია?

— არა სჯობია, რადგანაც „კენედი“ არ
იშოვება.

— „ვრანგლერი“, ადამიანო!

— „კენედი“, დედაკაცო!

ლუარსაბმა ანაზღად „ელიქტრონზე“ და-
იხედა, კარგა დრო გასულიყო, თავი რამდენ-
ჯერმე გააქნია და გაწბილებულ დარეჩანს მი-
უკუტყუარა:

— იმ ჩვენ ყოფილ გომბიოსთან რა დამ-
რჩენია, რაც მაგის ქმარი დააწინაურეს, დახე,
ბანკეტებსაც იხდის, რა მინდა იმათ ქუტოქში!

ყველა-ყველა და, ამაღამ ვახშაშ რა გვაქვს?

— ახლა არ მთხოვო: ჩიხირთმა, ბოზბაში,
თარტი და ორაგულიო, თორემ გავაფრინე!

დადექი და ჰაეცის წვენი მოიხარშე! მე მაგი-
ვებისათვის კი არ ვაფრინდი?! ის არ მყოფნის,
სულ რომ გაიძახი: „შვილი მამე, შვილი მინ-
დაო! — იყვირა დარეჩანმა და ოთახებში ბუ-
ზებს „ქლოროფოსით“ დაერია.

„კაცია-ადამიანით“ იმოგზაურა
აბთაანდელ ადისიში

დიდო ილიავ, შენი ხმა გვესმის,
დიდი ხნის წინათ მხნელ რომ გაისმა,
ქართლის დედაზე ნათქვამი ლექსი:
„ქართლის დედაო! ძუძუ ქართლისა...“
მინდა გიამბო, მოგიყუევ მინდა,
ქართლის ქალებმა, ქართლის დედებმა,
ვით შეგისრულეს ანდერძი წმინდა,
სურვილი, თხოვნა, ზვეწა, ვედრება...

ნეტავ განახა: ჩვენს ცაზე
მზე ჩაუქრობდალ ბრიალებს,
დედები ზრდიან შვილებსა,
შენ რომ ნატრობდი, იმგვარებს.
ზრდიან მამულის ერთგულებს,
მისდევნენ შენსა მცნებასა,
მრავალმა მათმა გაზრდილმა
სამშობლოს ფრთები შეასხა.
ზრდიან სიკეთის ქომაგებს,
მამულიშვილებს ქებულებს,
რომელთაც დიდი მოზანი
დიდ ბრძოლას ავალდებულებს.
ზრდიან გმირებს და დევგმირებს,
გმირებს ომისას, შრომისას,
მათთა გაზრდილთა ხელებით
ბევრი მტარვალი მოისრა,
მათთა გაზრდილთა ხელებით
ცამ ვარსკვლავები მოისხა,
მიწამ პერანგი ჩაიცვა
ხავერდისა და მოვისხა.

ქართულ დედათა კალთაზე
წამოფრენილი ქალ-ვაჟნი
მსოფლიოს გზებზე მიდიან,
მაიაბიჯებენ ფრთავალით.
ქუხან, გრგვინავენ, ბრწყინავენ
და გვიმალდებენ ქართულ ცას,
ბევრს დიდი ნიჭით, უნარიით
ეროს ღირსება დაუცავს.
ბევრის გმირული საქმენი
სამარადისოდ დაფასდა,
ზოგი აშშვენებს წიგნებსა
და საპატიო დაფასა,
ზოგი ძეგლებად დამდგარან,
გზა გაუვლიათ ქებული,
ქვეყნად დატოვეს სახელი
და კვალი განათლებული.

სიმაღლის დიდო მდგროშევ,
ვერ დაგიშალავთ სიმაღლეს:
ზოგი ქალია ისეთი,
იმედებს რომ არ გვიმართლებს,
ოჯახის უღელს გაურბის,
დედობა სულაც არა სურს,
ალვის ვერ უდებს სურვილებს
ყოველგვარ საზღვარს გადასულს.
შვილს თუ გააჩენს ერთადერთს,
ყველას უყურებს დიდგულად,
მყის აიშარტავს ძუძუებს, —
არ წამიხდესო ფიგურა!
დაფრინავს, როგორც გუგული,
თოთო ბარტყს აღარც მიხედავს,
დატოვებს ძროხის იმედად
და ბებების იმედად.
ოღონდაც დატყბეს, გაერთოს
და გულის ჭია ახაროს, —
არაფრად უჩანს ოჯახი,
ერი და მთელი სამყარო!
ტუჩმოგლისილი წითლადა
ურცხვად აბოლებს სივარებს,
კონიაყსაც სვამს დოსტებთან,
თითქოსდა ბოლმას იქარვებს!
არ აქვს ქართული ქალობის
გულში პატარა მარცვლიც! —
ასეთი ცოტა არიან,
ისიც გვაწუხებს, რაც არის!

ნოდარ შამანაძე

ნახ. გ. შირსხალაშვილი



— კაი, დედასა, ზაქარო! საღამო ჩვენი საფარი იყო, საფუძველ გაუხსნიათ!




შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!

78



ნუ უღალატებ კვილს ამხანაგსა,
ის შენ აცხვრებ, მან შენ გაცხვრებს!..

78



— ხურდა მიეცე! არ შეგარჩენს, ევო ოთარკანთ ქვრივი!..

ო რ ი

ა რ ი თ ე მ ე ზ რ ი

— დარეჯან, აბა, თუ შევიანი
დედაკაცი ხარ, გამოიცან, აი,
ჩვენი კოლხური ბინის
ეზოში რამდენი „უიგულია“? —
ჰკითხა ლუარსაბმა.

— მოიცა, ჯერ დავთვალ! —
სთხოვა დარეჯანმა.

— ეგრე ხომ მეც გამოვიც-
ნობ.

— ოცდაათი იქნება, — უბა-
სუხა დარეჯანმა.

— ოლოლო, ვერ გამოიცანი!

— მაშ, რამდენი?

— არ გეტყვი!

— მაშინ, არც მე გაგიზადებ
ბოზბაშსა!

— მოიცა, მოიცა, თუ კაცი
ვარ, ორმოცი უნდა იყოს, —
დანებდა ლუარსაბი.

— საიდან იცი?

— გონება მიჭრის! — აუხსნა
ლუარსაბმა.

— რომ არ იყოს ორმოცი?! —
ეჭვი შეებარა დარეჯანს.

— მაშინ „შანელს“ გიყიდი!

ძღვენი იმედმა წაახალისა და-
რეჯანი, დათვლა დაიწყო:

— ერთი, ორი, სამი... ორმო-
ცი, ორმოცდაათი და...

— ვაა, ეტყობა დაუმტკრევი-
თ და პროფილაქტორიში წაუყ-

ვანიათ! — თავი იმართლა ლუა-
რსაბმა.

— უფრო კარგი, თუ დაუმ-
ტკრევიან, უფრო ცოტა არ უნ-
და იყოს?

— დალაზეროს ღმერთმა, თი-
თქოს თვალს არ ვაცილებდი და
როდისღა გაფრინდნენ?

— აჰი არ დამითვლიათ, ჩემო
ტურფავ! — ნიშნი მოუგო და-
რეჯანმა.

— ტურფას გოშის ეძახიან,
მე ხომ კაცი ვარ?

— მაშ, შენ ჩემი გოშა არა
ხარ?! — გაოცდა დარეჯანი.

— აღრე რომ ქოფაკს მეძახდი?

— ახლა ყველას „პეკინელები“
და „ბალონკები“ ჰყავთ!

ლუარსაბმა იფიქრა, იფიქრა
და მაინც მოახერხა წყლიანი სი-
ტყვა:

— შენ იცი, ჩემი რა ხარ?
სულის ავჩარკა, გულის სეტერი,
გონების სენბერნარი და... აბა,
რა ვთქვა?! თუნდაც ქიზიურის
ბომბორა იყოს!

ალბათ, დიდხანს იღავებდნენ,
დათოს ორი ბილეთი რომ არ
მოეტანა ამერიკული ფილმის გა-
სინჯვაზე.

ქიზვარდ ისაბაძე

აგას გეგულოვანო, ილია რომ სოხხალი იყო

გოლვიან დღესა ტფილისშია, ახალ უბნისკენ
მე ჩამივლია... კაფე-ბარში მინახვიანო თქვენ
ტაბლასთან მჯდარნი — ჭინსის შარვლით, ჭინსისვე კეპით,
ჭინსისფერ შხამს რომ შიგ სახეში გაბოლებით კერბო.
სისხლი თქვენს კერბსაც მოდისადმი უჩქევს მოყვრული,
ვიწრო შარვალში საცოდავად არს გამოკრული.
თქვენა გვერდით ყველა, ვრცელ დარბაზში ვინც კი შემოდის,
ერთურობისგან რომ არ განსხვავებთ ვარცხნილობაც თმის.
ჰო, ისე ჰგავხართ ერთუროს, როგორც ჭუჭულს — ჭუჭულს,
ოღონდ თქვენ მისებრ მკერდი არ გაქვთ ამოღურცული.
ვინა ხართ თქვენა, უქნარებო? სიღამ მოსულხართ?
იმის სანაცვლოდ რას აკეთებთ, უანგზადს რომ სუნთქავთ?
წინაპართ გამო სიამაყით რომ ჭვრეტთ დიდ ნაშყოს,
მითხარით, თქვენი მყოლობაში ვინ იამაყოს?
სტუდენტები ხართ? არა მჭერა!.. რა გითხრათ ისევე,
ცხადში სულ ღრეობთ და ლექციებს სიზმარში ისმენთ?
მე თქვენი ყოფა ჭეშმარიტად იმას მანიშნებს.
რომ გაპოცდებოდა პროტექციით ღებულობთ ნიშნებს.
ასე უკუღმა მითომ მადის სწავლის გზა თქვენი, —
მშობლები სკოლის მასწავლებლებს თაფლავდნენ ძღვენით.
მამულისათვის არა არის იმაზე ცუდი,
იყო უწვრთნელი და გაწვრთნილის გეზუროს ქული.
უწვრთნელი როგორც კი დაჭლები გაწვრთნილის სკაშე,
წაახდენ საქმეს და თავის თავს შეირცხვენ წამსვე!
ჩვენ, მამულში რომ აღარ დავგვხდა ცოდნის ტაძრები,
სანუკვარ სწავლას შორს, შორს, უცხო ცის ქვეშ ვასწრებდით.
თქვენ? — თქვენს ერსა მტრობთ! რატომ? — საქმე არ მიგაქვთ გულთან!
სწავლა არ გინდათ? — დაეფუღეთ დაზგას ან გულთან!
იჟავით დიდი მშენებელნი, ფოლადის მდნობნი,
რომ გაუმრავლდეს ჩვენს დიდებულ ერს მკობნთა მკობნნი!
დედაო ქართველის! კვლავ ისმინე ჩემი ვედრება:
აღზარდე შვილის შენის სული, სიკეთის მქნელი,
რომ, სადაც წავა, წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან არა პრჩეს კვალი — ქვეყნის შემარცხველი!
ჩემზე იფიქრებთ: ის საქვეყნოდ ჩვენს ცულს რომ ამოვს,
პოეტის მიერ „ეგ ხომ ცხადი სიძულვილია?!“
არა! როს მშობლებს გაისტუმრებთ მარადის სამყოფს,
იტყვით: მართალი ყოფილაო, ჩვენთან, ილია!



მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ.
იმდენად უფრო მიკვლევა გული.



ახლა დუდუკი მე მაქვს, აჰ მოდი.
მე დავუქრავ და შენ კი იხტუნე!

საყვანის შემდეგ

— დედაკაცო! ან კი რისთვის ვიკლამთ თავსა, განა უშვილობა არა სჯობიან?

— რასა ბრძანებ, ლუარსაბს შემოვევლე, ღმერთსა სცოდავ განა!

— შენა ჭკვიანი დედაკაცი ხარ, დარეჯან, კარგად განსაჯე!

— შენ თითონ განსაჯე, აკი შენ ჩემზე მეტი ჭკვიანი ხარ!

— მაშა, — იფერებს ლუარსაბი, — იმას არ მოგახსენებდი, შვილსა კიდევ უშვილობა სჯობიან-მეთქი. მაშა, ეგრეა, ღმერთი ნუ გამიწყრება! ახლანდელს ჯე-ელებს სუ ქალაქისკენ გაურბით თვალი, ქალაქში კიდევ...

— კენჭი უნდა გადააყლაპონ, არა? — მოისაზრა დარეჯანმა.

— მაშა!

— შენა გგონია, დაგიჯერე მაშინა?

— აი, ჭკვიანი დედაკაცი მყევხარ! დამიგდე ყური, ხუმრობა იქით იყოს და, რამდენი ხათაბალა ახლავს ქალაქში წასვლასა, ესაო ინტიტუტში მოსაწყობად მომზადებო და რეპეტიტორებსაც თითოსა თითო შვიდასი თუმანიო.

— ძველი ფულითა?

— მა, ახლით ვინდა იხდის, დედაკაცო! ამის შემდეგ ბინის დაქირავებო, განა შენი მაზლივითა საერთო საცხოვრებელში და-ვაგდებ, იქა თურმე წყალიც კი არა ყოფნით...

— ეგ უდაბნოშია?

— რათა, დარეჯან, სტუდენტულაქშია. დამაცა, იმას არ ვამბობდი, იმ...

— რასა, ჯა?!

— ჰოდე, ბინისა ვთქვი განა, არა? ახლა ისა, ჯინსებით, მარტო ქვედატანი ორასნახევარიო, მერე კიდევ ისაო, დუბლიონკაო...

— ე რაღა დარდუბალაა, ჯა?!

— იი, განა სოლომონ ბრძენი ვარ, ყველაფერი ვიცოდე! — წყრება ლუარსაბი, — ისიცა განა, ფასი თქვი შენა იმისა, მაგრამა ი შენი მაზლიშვილები რო ჩაიცმევენ, მამა მოუკვდეს, მე არა ჩავაცვა ჩემსა.

— ჩასაცმელი ყოფილა, ჯა? — მიხვედრილობით თავს იწონებს დარეჯანი.

— მაშა! — დასძენს ლუარსაბი, — იმას არ მოგახსენებდი...

— ძვირი ყოფილაო, — წაეშველა დარეჯანი.

— განა სხვა რა არი იაფი, ე უცხოური რამერუმეები სულაც ხელზე არ იყიდება?! მაგრამა იმას გეუბნები, სწავლისას ვთქვით და, გაასრულა ჩვენმა შვილმა აგრონომობა...

— გაასრულებს, მა როგორა? განა ჩვენისთანა ჭკვიანი ხალხის პირმშო...

— ჰოდე, მეც მანდ არა ვარ, დედაკაცო? მერე სუ გზისკენ უნდა მეჭიროს თვალი, იქნებ მადლი ქნას და, ი კუდრაჭა გოგო-ბიჭები...

— ვინ გოგო-ბიჭები, ჯა?

— ვერ მიხვდი განა? ჩვენი შვილიშვილები! განა ისიც ჩემი ყისმათისა იქნება შვილიანობაში...

— შენ კი გენაცვალე, ლუარსაბ, შენა!

— დამაცა, დედაკაცო, ვთქვა ბარემ რალა! მაშა, ეგრე იქნება, როგორც გეუბნები, სანატრებელი გაგვიხდება შვილი-შვილის ნახვა! განა არა სჯობიან სულაც არ გაგვიჩნდეს-მეთქი და დალოცვილი რთველი კიდევ ერთის მეტად აღარ არის წელიწადში, განა?

დავით ასკურავა

„მოწყალეო ხელმწიფე! მე თქვენმა წესრიგმა გამოცა. იწერებით, აი, ესაა მედლევა შემთხვევა და ვსარგებლობ ამით, რომ პატარა ხარკი დაგადოთ“. და, მართლაც, ხარკს მადებო, ისიც თქვენდა საკუთარ სასარგებლოდ ასეთი კადნიერი წერილი ან ძალიან მახლობელი ნაცნობისაგან უნდა იყოს, რომ კაცმა არ იწყინოს, ან ბატონმა ყმას მისწეროს. მე არ ვიცი, რა შემთხვევა მოგცემიათ ისეთი, რომ თქვენი თავი რა-ღაცა ხარკის მიმღებლად გიცვნიათ და მე თქვენდა საკუთარ ყურმოჭრილ მოხარკედ გაგხდით, მაშინ, როდესაც არც კი მაქვს ბედნიერება თქვენი ცნობისა. ასეთი მოხარკეობა მაშინაც სათაკილო იყო ადამიანის ღირსებისათვის, როცა ბატონყმობა არსებობდა და ახლა ხომ მეტისმეტია. მიიღეთ უკანვე თქვენგან ასე კადნიერად გამოგზავნილი ბილეთები და უმორჩილესად გთხოვთ იცოდეთ ამას იქით, რომ მე არც არავის ყმა ვარ, არც არავისი მოხარკე, და რომ უცნობ კაცთა საკუთარ სასარგებლოდ მე ფული არც მქონია და არც არასოდეს მექნება“.

ილია ჭავჭავაძე

ნიკოლოზ იოსავიძე

კითხვა-პასუხი

— ფულის შოვნის გზას ვერ მიმასწავლი?

ტლუ არ გეგონო, მე ვარ ნასწავლი, ორი დიპლომი მიგდია სახლში, მეთაკილება, რომ დავდგე დახლში!.. მითხარ, საიდან ვიშოვნო ფული, მეც მინდა, მყავდეს, ძამო, „ვიგული“!

— გასწავლი, როგორც ქართველს ქართველი,

მე ვიცი ერთი ტრესტის მმართველი, თუ შესძელ მასთან თავის შეყოფა, იმდენს იშოვი, ას წელს გეყოფა! აი, ამ ქუჩას გაჰყევი, ძამო, რომ ეს ცხოვრება ტკბილად მოჭამო!

ქუჩის ბოლოში სახლი დგას დიდი, არ მოგერიდოს, თამამად მიდი! — იქ მდებარეობს ის ტრესტი თბილი, იკითხე კაცო ხვეჭიაშვილი!



უკან კრებს კვალი განათლებული

ჩ ა ტ ე ხ ი ლ ი ხ ი დ ი

შუალამე იყო. ილია ჭავჭავაძის პროსპექტის ერთ განაპირა სახლში ანტიკვარული ჭადი ბღერიალებდა. გარნიტურ „ლუდოვიკო XIV“-ის ორნამენტებიან მაგიდას დედა-შვილი უხსდნენ. შვილს ხელები მაგიდაზე დაეწყო და „სეიკოს“ დაფინებით დასცქეროდა. დედას ირანული ხალათი მოეხურა და შაბათის „სპორტლოტოს“ ერთდერით ბილეთს უაზროდ მიმტერებოდა.

— შვილო, გიორგი! განა ვერ ვამჩნევ, თვალი სულ უცხო ენების ინსტიტუტისაკენ რომ გავირბის?! — როგორც იყო, ამოიხვეწა ოთარაანთ ქვრივმა და „სპორტლოტოს“ პირველი ციფრი გადახაზა.

ვაჟი წამოწითლდა. მიხვდა, რომ დედამისს გაეგო. კესო სადაც სწავლობდა.

— გუშინ ვაკის პარკში დაუნახავხართ, კესოსთან ერთად! — ამოღერდა დედა და ახლა მეორე ციფრი გადახაზა.

გიორგიმ ჭორიკანა მეზობლებზე დაიბოღმა.

— არაა, შვილო, კესო ჩვენი ბედი! — შემბარავად თქვა ოთარაანთ ქვრივმა და მესამე ციფრს ჭვარი დაუსვა.

გიორგიმ „გრანგლერის“ ჯიბიდან „მარბორო“ ამოიღო და ნერვულად მოუკიდა.

— მაგ გოგოს მშობლები, „ზაპოროვეცი“ რაა, იმასაც კი ვერ მოაყოლებენ! — საქმიანად ჩაილაპარაკა დედა და მეოთხე ციფრიც გადახაზა.

ვაჟმა სიგარეტი იტალიური ბროლის ლარნაზე დაფერფლა.


— გიორგი, შვილო! შენს პროფილაქტიკის მუშაის მოწმობას მაგისი დიპლომი გვერდს ნამდვილად ვერ დაუმშვენებს! — დაუსვა წერიტილი ოთარაანთ ქვრივმა მეხუთე ციფრსაც.

გიორგიმ ენა მოიკეცა. თუმცა გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ დედამისი მართალი იყო და, მისი სპეციალობის კაცს, კესო მართლაც არ შეეფერებოდა.

შუალამე გადასული იყო. ილია ჭავჭავაძის პროსპექტის ერთ განაპირა სახლში ანტიკვარული ჭადი ბღერიალებდა...

მაღალაზ ცოტაძე

ნახ. 3. ალბინი



აგერ ტფილისისი... ყრმასაც და გერმას,
ქალსა — მახინჯსაც და მშვენიერსაც,
დიდსა, კატარას...

სუთი ქისა

გერმანული
გიგლიოთეკა

მამარჯვის

ოთარაანთ ქვრივის მსგავსად, მამარჯვსაც ჰქონდა ხუთი ქისა. ქვრივის ქისები ჩანთასავით ჭრელი ნაჭრებისაგან იყო შეკერილი, ჩვენი კი — ნამდვილი ტყავის ხელჩანთები იყო და ზედ ჰატარა ბოქლომი ედო. ამათ მამარჯვი „ოთარაანთ ქვრივის ქისებს“ ეძახდა. სახელწოდებები ილიას საპატივცემულოდ არ შეუცვლია. ქვემოთ მოგახსენებთ, რა დანიშნულება ჰქონდა მათ:

I ქისაში — „საჭირნახულო“ — ოჯახის სარჩენი ფული იყო ჩალაგებული. იგი დედას ებარა. იქიდან დედაჩემი ხანდახან ისე ამოაცილიდა ერთ-ორ დასტას და მარგალიტსა და ოქროს სამკაულებს იყიდდა, რომ მამარჯვი ვერც კაიგებდა.

II ქისაში — „ბარაქალა ქისა“ — საპურმარილო, საქეიფო და რესტორანში დასახარჯი თანხა ჰქონდა მოთავსებული.

III ქისაში — „საჯანაბო“ — ქორწილსა თუ ქელებში შესაწირი, და, როგორც მამარჯვი ამბობდა, „ჩემი შტერი შვილის რეპეტიტორ-მასწავლებლების“ ფული იყო შენახული.

IV ქისა — „მიეცი დ მოგეცესო“ — სხვებზე უფრო გატენილი იყო. იქ ასმანეთიანებზე ნაკლებს არ დებდა. „დღეს ქრთამი მაქვს მისაცემი!“ — იტყოდა, წაიღებდა ორ შეკვრას და საღამოს ათ შეკვრას მოიტანდა. „ამ ჩანთას ვენაცვალე, ნაღდი სახელი აქვს — მიეცი და მოგეცესო“. ამ ქისას კიდევ ერთი თვისება ჰქონდა: ხან ისე გაიბერებოდა, როგორც ახალდისერტაციადაცული ზოგიერთი ახალგაზრდა, ხან კი ისე დაიჩუტებოდა, როგორც დირექტორიდან ახალმოსხნილი.

V ქისაში — „ფარსადანის ქარვასლა“ — ფულების გარდა, ოქროულობა, განძეულობა და ვალუტები ჰქონდა ჩატენილი, მერე ცელოფანის პარკში ამოკერილი და ჩვენს აგარაკზე დიდი მუხის ქვეშ ჩაფლული.

ამ ხელჩანთის არსებობა მაშინ გავიგეთ, როდესაც მამარჯვი დააპატიმრეს.



განდებელი

ლუარსაბი

ლუარსაბმა ერთი კარგად გაიზმორა, მიგორდა მოაჯირის გადასაყუდებელთან და ძილისგან გაბოხებული ხმით გადასძახა და-
თოს, რომელიც ეზოში მანქანას რეცხავდა:

- ბაზარში იყავი?
- ვიყავი!
- ღორი გაყიდე?
- ოქროს ფასად!
- კიტრი?
- ეგეც!
- მწვანელი ხომ წონით გაყიდე?
- ეგეც!
- მაშ, სახლი სავსე ყოფილა! — თქვა

ლუარსაბმა სიამოვნებით. — ახალი რა ისმის
სოფელში?

— ჩვენთან კინოგაგუფი ჩამოსულა და
მთავარი როლის შემსრულებელს ეძებენ!
მგონი, „კაცია-ადამიანს“ იღებენ. ეგრე მი-
თხრა თავმჯდომარემ.

— მერედა, მონახეს ვინმე?
— ჯერ არა, მაგრამ თავმჯდომარეს თქვე-
ნზე უთქვამს, მაგაზე კარგ შემსრულებელს
ვერ მონახავთ. ზედგანოჭრილი თათქარი-
ძეო!

ა. კოკოლია

ილიამ რომ შეიტყო, მისი სიძე —
დიმიტრი ანდრონიკაშვილი — დიამბეგად დაუ-
ნიშნავთო, სასწრაფოდ მის შვილს შეუთხზა
ლექსი:

დიამბეგის შვილს ნანა, პატარა დიამბიკოსს;
გაიზრდება დედ-მამის სალხენად, სადიდებლად.
ვით მამა ქრთამს იღებდა, შვილმაც რომ
ისე იღოს,

ილია რომ დიდი მწერალი
იყო, ამ უტყუარ ფაქტზე, პირველ
რიგში, მის მიერ შექმნილი ნაწარ-
მოები მეტყველებენ, თუმცა იგი
მოგზაურიც იყო. ეს იქიდან ჩანს,
რომ მან დაწერა მგზავრის წერილე-
ბი...

ი. ჭავჭავაძემ, გარდა ქართულისა,
რუსული ენაც კარგად იცოდა, იგი
ხომ პეტერბურღში რუსულად სწავ-
ლობდა.

ილია რომ პოპულარული მწერა-
ლია, ამას ცხადყოფს „გლახაკის
ნაამბობისა“ და „ოთარანთ ქერი-
ვის“ მიხედვით გადაღებული კინო-
ფილმები, რომლებიც ქართველმა მა-
ყურებელმა ინტერესით ნახა.

ილია ჭავჭავაძე რუსთაველის შთა-
მომავალია, მაგრამ ლუარსაბის კნე-
ინა-დარეჯანი, ოდნავ განსხვავდება
ტარიელის შეყვარებული ნესტან-და-
რეჯანისაგან. ლუარსაბი და მისი
ცოლი ნებივრობენ, უხვად ჭამენ და
სვამენ, ხოლო ტარიელი მშვიდ-
მწყურვალ უდაბნოშია გავარდნილი,
ნესტან-დარეჯანი კი ქაჯეთის ციხის
ცხრაკლიტულში ლუკმას არ აკარებს
პირს.

გარდა მოთხრობებისა, ილია ჭავ-
ჭავაძემ წასაკითხავად დაგვიტოვა
პოემებიც, რომლებშიც მეტწილად
ყაჩაღების ტყეში ცხოვრებაა ასახუ-
ლი. საერთოდ, ყაჩაღობის თემა მან,
ეგნატე ნინოშვილთან ერთად, წინა
პლანზე წამოსწია. კაკო, ზაქრო, სი-
მონა დოლიძე, დარიკო, სისონა დარ-
ჩია, დათა თუთაშხია, არსენა ოძე-
ლაშვილი და სხვები დღესაც დიდი
რეპუტაციით სარგებლობენ ქართველ
ხალხში (სხვათა შორის, არც ერთი
მათგანი თავიდან ყაჩაღი არა ყოფი-
ლა).

ბუნების აღწერას განსაკუთრებუ-
ლი ადგილი უკავია დიდი ილიას

დიდ შემოქმედებაში. მაგალითისა
თვის საკმარისია, დაასახელოთ
სტრიქონები:

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც
ჭყვიც.

არც სიყვარულის თემისთვის აუე-
ლია გვერდი ნიჭიერ მწერალს. გიო-
რგი თივის ზვინიდან სწორედ კე-
სოს სიყვარულისგან რეტდასმული
გარდება ძირს.


ნიჭიერი პროზაიკოსის პოეზიიდან
ცალკე უნდა გამოვყოთ პატრიოტუ-
ლი ლირიკა: „გახსოვს, ტურ-
ფაკ, ჩვენს დიდ ბაღში...“
და სხვა.

ილიამ პეტერბურღში გაიცნო ჭა-
ბუკი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რო-
მელიც უკვე ცოცხალი აღარ იყო.
ტატომ დაგვიწერა განსაკუთრებით
მერანი, რომელიც ჩვეულებრივი ცხე-
ნისაგან იმით განსხვავდება, რომ
მირბის და მიფრინავს უზო-უკე-
ლოდ. ნიკოლოზი ბავშვობაში თურ-
მე აივნისგან გადმოვარდა და ოდნავ
კოჭლობდა, რისთვისაც იგი არ მი-
იღეს სამხედრო სასწავლებელში,
მაგრამ ყოველივე ამას სულაც არ
შეუშლია ხელი ყოფილიყო გენიოსი
და ეწერა ლექსები.

ასეთია ი. ჭავჭავაძის ცხოვრებისა
და შემოქმედების მოკლე შინაარსი.
მწერლის მოღვაწეობის ეს ჩემი სა-
ფუძვლიანი მიმოხილვა დიდ დახმა-
რებას გაუწევს როგორც უმაღლეს
სასწავლებლებში შემსვლელ მომა-
ვალ ფილოლოგებს, ასევე სტუდენ-
ტებსა და ასპირანტებს.

მომავალ წერილში მე განვიხი-
ლა აკაკი წერეთლის შემოქმედებას.
ცნობილი რუსთველოლოგი აკაკო-
ლოგი, ილიოლოგი და ფილოლოგი

ვანო ცინცაძე



ილია და მისი ჯიბე


ილია ახალგაზრდობაში ძალზე უჩიოდა უფულობას, გან-
საკუთრებით პეტერბურღში სწავლის დროს, ამიტომ მის წე-
რილებში ხშირია ასეთი წუხილი:

„ჩემი ამბავი რა მოგწეროთ? ხომ იცით, ჭავჭავაძის სისუს-
ტე სად არის — ჯიბეში და ისევ ჯიბეში.“

უხ! ხანდახან რა უბრძოლ ქარიშხალი წამოუბერავს ხოლ-
მე. ჯიბით, რა რუსეთული თავგები შედგებიან ხოლმე ყალ-
ყხედ, თითქო ძალად დაცარიელებულს ჯიბეში.

მაგრამ კი სასოწარკვეთილებაში არ შევალ ხოლმე, ნუ-
გეშს ვიცემ და ამას ვეტყვი ხოლმე ჩემს თავს: ნუ გეშინიან,
ერთხელაც იქნება, რომ ჩვენც გავგებრწყინდეს მზე-მეთქი.
და ჩემი თავი ჩვეულებრივ სიცილით მიპასუხებს ხოლმე:
პაპა შენიც მაგას ამბობდაო, მაგრამ შენი ჯიბე მაინც არ
გათბავო“.

(მეგობარ ქალს)



— კიდეც კარგი, ლუარსაბ, შვილი რომ არ გვეყოლა, თორემ რა მოაწყობდა აქ?

ილიას მოტივებზე

ანონიმისტი

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვმსახურობთ, მას ჩუმჩუმად კვლავ ვემსახუროთ,
გესლი და შხამი უშიშარად მოეფინოთ ხალხში
კეთილთ საკლავად, — მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ!

მლიქვნელი

ჩემზე ამბობენ: „უფროსის შავს თეთრად ხედავსო,
მის ნაკლს ვერ ამჩნევს, ეგ ხომ ცხადი სიყვარულია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე გრძნობს —
ამ სიყვარულში რაოდენი სიძულვილია!

მეპრთამე

თუ კაცმა ვერ სცნო ჩემი გული, ხომ იცის ღმერთმა,
რომ სიყრმიდანვე გამდიდრების მახრჩობს მე სენი.
ვიცი, რომ ბოლო კეთილი და დიდი არა მაქვს,
შხადა ვარ, მაინც ქრთამის ძეგლით დავლიო ღღენი!

ნანა ჯაჯანაშვილი



— ჩვენ შევცდით, ჩემო ღარიბან! თელეთში კი არა, აქ
აქ უნდა მოვსულიყავით!

მამულს ედგები დარაჯად, თავს დაჰხაროდი ცისმარეცხელს!
რამდენი შხამი შეგასვეს, რამდენი ნახე სიმწარე!
შემოგვიტევენ, — შენ იყავი ერის ჯაშუანი ურდველი!
მშვიდობა იყო, — კისერზე გედგა სამშობლოს უღელი!
მტერი ჩვენს წარსულს დაჰკრავდა, — დაიჭუბილი მეზივით,
ვაზს ფილოქსერა დაღრღნიდა, — გვერდით ედგები გლეხებით!
ლხინი იყო და, — შენ იყავი ერის პირველი მეღვინე,
მცოდნე, ნასწავლი, ნაივითი და ერთადერთი მეღვინე!
ახლა რა გვიჭირს: გამრავლდა მეღვინეების ლაშქარი,
ამდენი ღვინო, შენ გეტყვი, მგონი, სოფლებში არც არის!
სამაგიეროდ ჭაჭა გვაქვს, გრადუსით ერთობ მაგარი
და „ცეკავშირში“, ღვინის მაღლით, ავარის ტყბილი შაქარი!
მეურნეს გენატრებოდა ქართული ღვინის ექსპორტი,
ამ დარგში, დიდო ილიავ, ღღეს დავამყარეთ რეკორდი.
ნატრობდი საქართველოში ოც, ან ოცდახუთ აგრონომს,
ახლა ჩვენს სოფელს ურიცხვი სპეციალისტი პატრონობს.
ეგ არის, ზოგმა სოფელი გაცვალა თბილის-ქალაქზე,
ასფალტზე შეყვარებული, ფეხს ველარა ღვინის ბაღაზე.
ზოგი გაძვირდა მუშაობს, ზოგმაც არჩია სახინკლე,
ზოგიც ზის რესტორანში და ფულისთვის კლარნეტს აყივლებს.
ზოგმაც, ჯერ კიდევ აკვანში, გაიგო გემო ხარისხის,
დისერტაციის აწვება, ჯერ რომ ანბანიც არ იცის,
გულში მჯიღს ირტყამს, იფიცებს მეცნიერების სინათლეს,
მთელი ნაშრომი მიუძღვნა საზამთროს ყუნწის სიმარეს.
სასწოროდ დადებ მის ნაშრომს, — გრამიც არ აიწონება,
ასეა მუდამ, როდესაც კუჭი გადასძლევს გონებას.
დისერტაციის დაცვას, სანთელს აუთეებს განცებას
და მერე იუბილესთვის დაიწყებს ცხარე მზადებას.
ერთს გაღუბნიან, მეორეს, მესამესთვისაც ირჯება,
რას იზამ, ძველი თქმა არის: „მადა ჭამაში იზრდება“.
შენ კი, სიცოცხლის მანძილზე, ერთიც ვერ გადახადე,
თუმც საუკუნო ღიღება ქების გარეშეც იხარებს!

ღრო გადის, წლები ნაყოფით იწონებთან სასწოროზე,
ალგეთს მუხლები გაშალეს ლეკვებმა მგლების ნაწოლზე.
ერთი სურვილით ავეწითე, ერთი გვირგვინი შეგეკარით,
ღდას, საბჭოთა სამშობლოს, ნატურისთვისავე შევხარით!
ანტარქტიკა და არქტიკა ისწავლება და სახლდება,
შენ კი გაკრთობდა ალაგის რაჭველთა გადასახლება.
ახლა რაჭველებს, მეგრელებს ნახავ შორეულ პამირზე,
ბამთან გურული შეგხედება, კახელი შრომობს ყამირზე.
მაგრამ ზოგიერთს დალანდა, ხელში დაფნით და „მაჩალკით“,
ჩვენს სამარცხინოდ დაძვრება ბაზრის უთოფო ყაჩაღი.
ზოგმა დარეჯანს აჯობა: ბუზების თელაში იღლება.
ყავის ნარჩენზე მკითხაობს, ლოცულობს, ოფლად იღვრება.
ზოგიერთების ტაქტი და „დიპლომატია“ გვახარებს:
სიცილ-კისკისით უთხრიან ერთმანეთს პირზე სამარეს!
განაძლ შემოგვრჩა ქართველებს შენი უცვლადი ბჭარები,
თვალ-მარგალიტი ძვირფასი ხელიხელსაგოგამანები,
მზესავით ბრწყინავს, ანათებს — ხალხში გასული წიგნებად —
ღრო გადის, განთიადივით უფრო და უფრო ბრწყინდება!
ქართული ენის მედროშევე, ქართული სიტყვის ღუდბო,
მისი სიწმინდის, მეუფევე, მისი გულივით მღუღარო,
წამოიმართე, მიჰყვები ქართველი ხალხის ღიღებას,
ჩვენი სამშობლოს მიწაზე მზის სხივთა ამობრწყინებას!

ვალერიან ჩაბუკაშვილი

ილიას საგირული სიგჳა

„რაპი ერთხელ კაცმა ურცხვობისა-
თვის პირი გაიხია, იმას აღარა დააყენებ-
რა, თუნდა ათასი ალაყი გაუკეთო და ათა-
სი ნალო გამოაბა“.

„როცა თავის-თავს ახსენებს...
თავის „მეს“ მიეყუდება ხოლმე, როგორც
ბოძსა“.

„გაგონილა ახეთი ლაგამ-წამოყრი-
ლი ლაპარაკი სამეცნიერო საგნებზედ?“

აშერიკის ადმინისტრაციის
ათასგვარ ხრიკებს იყენებს, რათა დაი-
წყოს ნეიტრონული ბომბის წარმოება.



კაცია-აღზინისტრაცია?!

პირველი გვერდი ნ. შალაშნიკისი



ნახატო თეზისი ავტო-
რები: ა. აღიშვლი, ბ.
ბაბაძე, ვ. დიხაძე, ვ.
ქუცია, გ. ლომიძე, თ.
შაგველშვილი, ბ. შიშ-
ტაძე, რ. შიშველაძე,
დ. ცანცაძე.